# თავისუფალი საქართველო

№30

3-9 სექტემბერი 1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)


ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუსი მიდის, რუსი მიდის...

ჩვენ ადრეც არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენები არ წარმოადგენს მხოლოდ შიდაჩეჩნურ, ან შიდარუსულ პრობლემას. თავისი მნიშვნელობით რუსეთ-ჩეჩნეთის ომი ბევრად უფრო გლობალურ დატვირთვას იძენს. ამ ომმა კიდევ ერთხელ ნათელყო, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი როლი შეუძლია ითამაშოს კავკასიამ მსოფლიო პოლიტიკური ამინდის შექმნაში.

***

მაშ ასე, ჩეჩნეთსა და რუსეთს შორის ხელმოწერილი იქნა შეთანხმება საბრძოლო მოქმედებათა შეწყვეტისა და რუსეთის სამხედრო შენაერთების გაყვანის შესახებ. ამ შეთანხმების მიღმა იგულისხმება ის, რომ ჩეჩნებმა იზეიმეს ბრწყინვალე გამარჯვება. ამ პატარა ქვეყანამ მარტომ, მხოლოდ საკუთარი თავის იმედად მყოფმა დაამარცხა რუსეთის არმია. დაამარცხა არა ფუჭი დიპლომატიური ვირეშმაკობით, არა გაეროს რეზოლუციებით ან სხვადასხვა სახელმწიფოთა წინაშე მუხლებზე ხოხვით მათგან საწყალობლად გამოგდებული მორალური მხარდაჭერის ფასად, არამედ დაამარცხა იმ ფიზიკური ძალით, რომელზეც მუდამ იყო და დღესაც არის აგებული რუსეთის პოლიტიკა.

***

ჩეჩნეთში რუსების დამპყრობლურ ჟინს დაუპირისპირდა თავისუფლების სიყვარული, რიცხობრივ უპირატესობას - მთელი ერის გასაოცარი დარაზმულობა, დაუნდობლობას და სისასტიკეს - ვაჟკაცობა და თავგანწირვა. კონფლიქტის ყველა ეტაპზე, უკლებლივ ყველა ვითარებაში, ჩეჩნები გამარჯვებულები ჩანდნენ როგორც შინაარსით, ასევე ფორმით. მაშინაც, როდესაც ისინი ტოვებდნენ გროზნოს და მაშინაც, როცა მძევლებს იყვანდნენ პერვომაისკოეში. ყველა ვითარებაში საყოველთაო სიმპათიები ჩეჩნების მხარეს იყო. რაოდენ უცნაურადაც არ ჩანდა, მაგრამ აყვანილ მძევლებს მათი თანამოძმე რუსი სპეცრაზმელების შიში უფრო ჰქონდათ, ვიდრე ჩეჩენი "ტერორისტებისა". რამდენიც არ ეცადა რუსეთის პროპაგანდისტული მანქანა ჩეჩნებისაგან ულმობელი ტერორისტებისა და კაციჭამია ველურების სახე შეექმნა, მან მხოლოდ უფრო უკეთ წარმოაჩინა ამ უდავოდ გმირი ხალხის ღირსება, დიდსულოვნება, ვაჟკაცობა. ჩეჩნებმა აჩვენეს მთელ მსოფლიოს, რომ ისეთი ფასეულობები, როგორიცაა - სამშობლოს სიყვარული, თავისუფლების წყურვილი, ტრადიციების ერთგულება, შემართება, თავდადება და, რაც მთავარია, რწმენა იმ ძალას წარმოადგენს, რომლის დამარცხების უნარი არ შესწევს არანაირ ზესახელმწიფოს, ან თუნდაც ზესახელმწიფოთა მთელ საკრებულოს.

***

როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, რუსეთ-ჩეჩნეთის ომის მნიშვნელობა ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. იგი განსაკუთრებით ფასეულია ჩვენთვის. ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენების ფონზე უფრო ნათლად აღიქმება ჩვენი დღევანდელი ყოფა და, უნდა პირდაპირ ითქვას, რომ განცდა, რომელიც ამ დროს გვეუფლება, არის ძალზედ მტკივნეული. ჩვენი დაუძლურება, დაბეჩავება და ილაჯგაწყვეტა კიდევ უფრო თვალშისაცემია იმ შემართებისა და საარაკო გმირობების ფონზე, რომლის მაგალითსაც ჩვენი თანამოძმეები გვაძლევენ. ჩვენ გვაშინებდნენ რუსის ჯარით და აღმოჩნდა, რომ ამ ჯარის დამარცხება ომახიანი ცეკვასიმღერით შეიძლება;

ჩვენ შეგვაშინეს იმ მსხვერპლით, რომელიც რუსეთთან კონფრონტაციას შეიძლება მოჰყოლოდა და ძალით მოგვახვიეს თავს ისეთი კეთილმეზობლობა მასთან, რომლის შედეგიც საქართველოს მოსახლეობის ფაქტობრივად განახევრება და ჩვენი ძირძველი მიწებიდან ქართველობის გამოყრა გახდა; ჩვენ გვაშინებდნენ იზოლაციით დანარჩენი მსოფლიოსგან და საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის დაცემით. ამ ისტერიის თანხლებით დაამხეს ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლება და ქვეყნის მართვა ჩააბარეს უცხოეთში "გასულ" ედუარდ შევარდნაძეს, რომელმაც საქართველო პატიმრების, მათხოვრებისა და მაფიოზების ქვეყნად აქცია; ჩვენ გვაშინებდნენ... და ჩვენც შევშინდით. ამის შედეგია, რომ ჩვენი ბრძოლისუნარიანობა დაეცა იმ უმდაბლეს ზღვრამდე, რომლის იქით უკვე სასოწარკვეთა იწყება.

ჩეჩნები ვერ შეაშინეს. რა არ უქნეს, როგორ არ ეცადნენ, მაგრამ ვერ შეაშინეს, ვერ გატეხეს... და დამარცხდნენ. როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები მომავალში, ერთი რამ ცხადია - ჩეჩნებს, მათ მიერ არჩეულ ხელისუფლებას უკვე ანგარიშს გაუწევენ. მათ სიტყვას წონა და ფასი ექნება. ჩეჩნებმა თავისი თავდადებით შეძლეს ის, რასაც სხვა ერებმა საუკუნეები მოანდომეს - სრულფასოვანი და სრულუფლებიანი ერის სახელი დაიმკვიდრეს დღევანდელ მსოფლიოში.

***

ჩვენ, რაც უნდა ითქვას, შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ჩეჩნეთის პრობლემა უკვე მოგვარებულია და რომ რუსეთი საბოლოოდ შეურიგდა ამ ტერიტორიის დაკარგვას. თავის დამპყრობლურ ზრახვებზე რუსეთი ასე ადვილად ხელს არ აიღებს. მეტიც, შესაძლოა, საერთოდ ვერ გათავისუფლდეს ამ სენისგან, ვინაიდან, როგორც ჩანს, მის გარეშე რუსეთი არც არის რუსეთი და რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ მის კარგ და ცუდ ვარიანტებზე, არსებობს რუსეთის ერთადერთი - იმპერიული ბუნება. თუკი იმპერიულობა არის ის ერთადერთი იდეა, რომელიც აერთიანებს ამ ხალხს და საფუძვლად უდევს მათ სახელმწიფოებრიობას, მაშინ ამ ქვეყანას დიდი დღე არ უწერია. თუმცა, ეს უკვე რუსების თავსატეხია.

*თეიმურაზ რეხვიაშვილი*

თავისუფლებავ შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმრთელე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა.

მტარვალთა თქმითა ოდითვე ხარ შენ აკრძალული,
ხე ცნობადისა, ედემს რგული, შენი ხე იყო;
მაგრამ სამოთხეც ყოველისფრით აღსავსე სრული,
პირველ კაცთათვის უშენოდა არარა იყო.
...
თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვეყნად მომფენი,
მაგრამ სისხლით კი იკვლევს გზასა მძებნელი შენი!
რად არ შენდება უსისხლოდა მისი ტაძარი,
მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არი?..

ილია

## რუსეთის არმიის გაქცეულ-ტყავებული ნარჩენები ტოვებენ ჩეჩნეთს

დაღესტნის ქალაქ ხასავიურტში, რომელიც უპირატესად ჩეჩნებითაა დასახლებული, 31 აგვისტოს შედგა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის - ალექსანდრე ლებედისა და ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის შეიარაღებული ძალების შტაბის სარდლის - ასლან მასხადოვის შეხვედრა.

ექვსსაათიანი მოლაპარაკების შემდეგ, ღამ ის ორ საათზე, მხარეებმა მოედანზე შეკრებილ უამრავ ჟურნალისტს, მოსახლეობას მიმართეს ერთობლივი განცხადებით, რომლითაც დაადასტურეს, რომ ხელმოწერილია დასკვნითი შეთანხმება ჩეჩნეთში ომის დამთავრებისა და ქვეყნის ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანის შესახებ... გაისმა აღფრთოვანებული შეძახილები, ადამიანები ეხვეოდნენ ერთმანეთს და ულოცავდნენ ომის დასრულებას. დილით ჩეჩენ ხალხს მიმართა ჩეჩნეთის პრეზიდენტმა - ზელიმხან იანდარბიევმა და მიულოცა რუსეთის საოკუპაციო ჯარზე გამარჯვება...

იმედი უნდა გამოვთქვათ, რომ მართლაც დასრულდა მეოცე საუკუნის მიწურულის ეს საშინელი სასაკლაო ჩეჩნეთის მიწაზე. ჩეჩენმა ხალხმა ჭეშმარიტად გმირული ბრძოლით აღკვეთა რუსული იმპერიის მხრიდან ვაინახთა გენოციდის მცდელობა და ახლა "უძლეველი", "დაუმარცხებელი" არმიის გაძვალტყავებული ნარჩენები სამარცხვინოდ მიძუნძულებენ ამ ქვეყნიდან.

გამანადგურებელი მარცხი განიცადა არა მხოლოდ ჩეჩნეთში დისლოცირებულმა რუსულმა ჯარმა, არამედ მთლიანად რუსულმა არმიამ და სახელმწიფომ. ჩეჩნეთში დამარცხება უძლიერესი დარტყმაა ელცინის ადმინისტრაციისთვისაც, რომელმაც გააჩაღა ეს ომი და ბარბაროსული სისასტიკით აწარმოებდა მას თითქმის ორი წლის განმავლობაში.

ჩეჩნეთის ბოლოდროინდელი მოვლენების ცენტრალური ფიგურა უდავოდ რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი - ალ. ლებედია. ჩეჩენი მებრძოლების მიერ გროზნოს აღების შემდეგ "მუდმივ შვებულებაში" მყოფმა რუსეთის ავადმყოფმა პრეზიდენტმა ალ. ლებედი, მისთვისვე მოულოდნელად, ჩეჩნეთის საკითხის მოგვარების კომისიას ჩაუყენა სათავეში.

ლებედის თქმით, ამ დანიშვნას ერთადერთი მიზანი ჰქონდა: უკვე წაგებული ომისთვის და მოსალოდნელი შედეგებისთვის პასუხისმგებლობა მისთვის დაეკისრებინათ. ჩეჩნეთში ვიზიტმა და იქ დემორალიზებული, დამფრთხალ-დამშეული რუსი ჯარისკაცების ნახვამ ლებედი დაარწმუნა, რომ ომი წაგებული იყო და გენერალმა ერთადერთ გამოსავლად იქიდან რუსული შენაერთების სასწრაფოდ გამოყვანა მიიჩნია. ჩეჩნეთის კანონიერ ხელისუფლებასთან (და არა მარიონეტ დოკუ ზავგაევთან, რომელიც, ლებედის აზრით, განდიდების მანიითაა შეპყრობილი) პირდაპირი მოლაპარაკების იდეაც მას ეკუთვნის...

გულუბრყვილობა იქნებოდა, თბილისში (9 აპრილს) და აზერბაიჯანში მოწყობილი სისხლიანი სადამსჯელო ოპერაციის აქტიური მონაწილე - ალ. ლებედი მშვიდობის მტრედად და ჩეჩენთა ქომაგად ჩაგვეთვალა. ამ მომაკვდინებელ ცოდვებში გენერალს უკვე ადანაშაულებენ თავისსავე სამშობლოში. უბრალოდ, მისთვის - სამხედრო პირისთვის, გროზნოს აღების შემდეგ საეჭვო აღარ იყო რუსეთის მხრიდან საბრძოლო მოქმედებების გაგრძელების უპერსპექტივობა. ელემენტარული ლოგიკისა და გონიერების თვალსაზრისით, "ლებედის გეგმა ერთადერთი სწორი გზა იყო" (მარშალ გოლდმანი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტოლოგი).

საყურადღებოა, რომ ბ. ელცინი ყოველნაირად ცდილობს, ისე წარმოაჩინოს შექმნილი სიტუაცია, თითქოს თავად არ ერევა ამ პროცესებში. მას სურს საბოლოო "ბრძნული სიტყვის" თქმის უფლება დაიტოვოს, იქნებ გაკიცხოს კიდეც ლებედი ზედმეტი "ლიბერალიზმისთვის" "ბანდიტებთან" მიმართებაში.

ასეა თუ ისე, ელცინს უახლოეს ხანებში მოუხდება არჩევანის გაკეთება: მან ან უნდა დაადასტუროს ლებედის მიერ ხელმოწერილი შეთანხმების უფლებამოსილება, ან კვლავ განაგრძოს ომი ჩეჩნეთში. ელცინისთვის, როგორც პოლიტიკური ფიგურისთვის, ორივე გადაწყვეტილება არასახარბიელოა. პირველ შემთხვევაში იგი აღიარებს, რომ ვიღაც "ახლად გამოჩეკილმა გენერალმა" მოახერხა მის მიერ დაწყებული ომის შეწყვეტა, რითაც თავის უნიათობას დაადასტურებს, ხოლო მეორე შემთხვევაში ელცინი უკვე აშკარად წარმოჩინდება "ომის პარტიის" მამამთავრად, რომელსაც ომის ძალა არ შესწევს...

ბოლოდროინდელი ცნობებით, ელცინის რეიტინგი კატასტროფულად იწევს დაბლა. მის აგარაკს - ბარვიხას - ხშირად "ლენინსკი გორკებს" ადარებენ. ხოლო თავად მას - მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს სიცოცხლის უკანასკნელ წლებში.

არანაკლებ სავალალოა ელცინის ფავორიტის - დოკუ ზავგაევის მდგომარეობაც. ნათელია, რომ მოლაპარაკებების დასრულების და რუსის ჯარის ჩეჩნეთიდან გასვლის შემდეგ მისი ადგილი ჩეჩნეთში აღარ არის. ბოლო წუთებამდე დოკუ გაპურის ძე განსაცვიფრებელი უტეხობით აცხადებდა, რომ მთლიანად აკონტროლებს სიტუაციას რესპუბლიკაში. გროზნოს აღების შემდეგაც ირწმუნებოდა - რესპუბლიკის მეთაური მე ვარო. ამ ბოლო ფრაზას იგი ისეთი სიხშირით იმეორებდა, რომ ძალაუნებურად იმ სულით ავადმყოფს მოაგონებდა კაცს, რომელიც მნახველებს არწმუნებს ნაპოლეონი, მაკედონელი ან ადმირალი ნელსონი ვარო. მაგრამ რამოდენიმე დღის წინ თვით დოკუმაც ყურები ჩამოყარა - მოსკოვში აღიარა, რომ აღარ არის მმართველი, რადგანაც ლებედის მიერ მოწყობილი გადატრიალების მსხვერპლი გახდა.

დოკუ ზავგაევის პოლიტიკური კარიერის სამარცხვინო დასასრული ბევრი მისი კოლეგა-მარიონეტისთვის შეიძლება გამოდგეს მაგალითად...

მაგრამ მარიონეტთა უბედურება ისაა, რომ დროებით აღზევებულნი წინასწარ ვერ გრძნობენ ხოლმე მოახლოებულ აღსასრულს... გარკვეულ დრომდე ისინი ისევ "პოლიტიკური ლავირებით", "დიპლომატიური" მანევრებით, მქუხარე განცხადებების კეთებით ირთობენ თავს...

ერთი ასეთი ოჩოფეხებზე მდგარი თოჯინა ცოტა ხნის წინ აცხადებდა: აფხაზეთთან დამოკიდებულებაში ჩვენ იმავე პრინციპით ვიხელმძღვანელებთ, როგორსაც რუსეთი ჩეჩნეთთან მიმართებაში გამოიმუშავებსო...

რუსეთის მიერ ჩეჩნეთთან მიმართებაში "გამომუშავებული" პრინციპი სახეზეა - დამარცხებული რუსის ჯარი ტოვებს ჩეჩნეთის მიწას...

საინტერესოა, რას მოიმოქმედებენ პოლიტიკური პარალელების ქართველი "ოსტატები", როგორ წარმოუდგენიათ მათ რუსეთის პრინციპების შესაბამისად მოქმედება აფხაზეთის საკითხთან მიმართებაში?

*ნუგზარ წიკლაური*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ადრევაც გვითქვამს, რომ ეხლანდელს დროს რაღაც ხიფათი შეემთხვა და ადამიანის ლოღიკამ გზა შეიშალა, თითქო ან მართულები მოეშალა, ან ღერძი გაუბრუნდდაო. სულ ყველაფერი აირივ-დაირივა, ტყუილი და მართალი ველარავის გაურჩევია, ქვენა-გრძნობანი ზენა-გრძნობათა ადგილას გამეუფდნენ, ცოდვამ მადლის პირბადე ჩამოიფარა, ყალბი ხალასად გადის და ნაძირალა თავანკარად, თითქო ჭკუისა და გულის აღებ-მიცემობაში აღარ იშოვება საწყაო ცოდვისა და მადლისა, ტყუილისა და მართლისა.

ყველანი ვხედავთ ამას, ყველას თვალ-წინ ათასი ამისი მაგალითი გვიდგა და ყველანი ვიშვნევთ და ვიწყნარებთ ამისთანა ყოფას, თითქო ამითი არავითარი რიგი ურთიერთობისა არ ირღვეოდეს, თითქო ამ არევ-დარევაში, ამ გაურჩევლობაში ვპოულობდეთ მაგარს ტინს, რომელზედაც უნდა აშენდეს ჩვენის ბედნიერების ციხე-სიმაგრე, თითქო კეთილს, მართალს,მადლს უღონობა შეაჩნდათ, და ამის გამო ბოროტს, ტყუილს და ცოდვას-ღა მივენდენით სრულის იმედით, რომ იგი ჰქმნან კაცის ბედნიერებისათვის, რაც კეთილმა, მადლმა და მართალმა ვერ შესძლეს.

ი ლ ი ა

# მოისვი ხელი შუბლზე, კაენ!

არ ვაპირებდი და არც ახლა ვაპირებ დეტალურად შევჩერდე თქვენს ინტერვიუზე, პასუხის ღირსად ჩავთვალო თქვენი "ნააზრევი", ბ-ნო თენგიზ. ღმერთმანი, არც ღირს და არც იმსახურებთ. თავიდან მიკვირდა, თქვენი ინტელექტის მქონე კაცისთვის ოპოზიციურობის მიზეზი მხოლოდ პირადი კეთილდღეობის შელახვა რომ იყო. ახლა და ახლაც გამწარებით ფართხალებს, რათა ისტორიის სანაგვიდან კვლავ მზეს - პოლიტიკას დაუბრუნდეს.

გვიან ხომ არ არის, ბ-ნო თენგიზ?! მით უმეტეს, რომ ელემენტარული სინდისის ქენჯნაც კი უცხო ხილი ყოფილა თქვენთვის. სამწუხაროა, სამწუხაროა...

ნუთუ არ გრცხვენიათ?

თქვენს პოლიტიკურ ავანტიურიზმს შეეწირა სამშობლო,

## თენგიზ სიგუას ინტერვიუს პასუხად

ესეც აღარ მიკვირს.

თქვენ მტკიცედ დაიმკვიდრეთ მუდმივი ოპოზიციონერის საეჭვო რეპუტაცია. რატომღაც ასე იყო - ოპოზიციონერობის ლომის წილი თქვენი თანამდებობიდან განთავისუფლების შემდგომ პერიოდზე მოდიოდა, მანამდე კი ჩვეულებრივი მლიქვნელის პროზაული როლით იფარგლებოდით ყოველთვის. გაიხსენეთ 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომები. მალთაყვაში საწყალოსნო სპორტში ევროპის ჩემპიონატის გახსნის შემდეგ გამართული საზეიმო ბანკეტის თქვენეული თამადობაც კარგად გაიხსენეთ.

ზვიად გამსახურდიას არავის ადვოკატობა არ სჭირდება, საქართველოს მატიანეს ნათელ სვეტად დაადგება მისი სახელი. თქვენდა სამწუხაროდ, ეს თავადაც ძალიან კარგად იცით. სხვა საქმეა, როგორ შეხვალთ იგივე მატიანეში თქვენ, ბ-ნო თენგიზ. დღეისთვის უკვე ესეც გარკვეულია - სისხლიან თენგიზად, უზურპატორად, ძმათამკვლელი ომის ერთ-ერთ გამჩაღებლად და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, გონებასუსტ პოლიტიკოსად, რომლის ხელითაც უხვად კრიფეს ნარ-ეკალი; თავისი უსუსურობით, საკუთარი ლიკვიდატორის ჩამოყვანას რომ შეუწყო ხელი რომელიც, სახელმწიფოებრიობას დანატრებული, ის იყო შეუდგა აღმშენებლობას, თქვენ კი საძირკველშივე სისხლი ჩააყოლეთ საკუთარი ქვეყნის მომავალს.

ადამიანი, ვინც პოლიტიკაში მოგიყვანათ, ვინც თქვენი თავი გააცნო ერს და რომელიც თავის აღმოჩენად გთვლიდათ, მოკალით, მისი ცოლი აქციეთ ქვრივად, შვილები - ობლებად და ლტოლვილებად.

საქართველოში ჩამოსვლის საშუალება და საუკეთესო პირობები შეუქმენით მტარვალს, რომელმაც ბოლოს გშთანთქათ კიდეც.

კიდევ იანაევის ოქმები გაბოდებთ, უბედურო?!

ნუთუ ძალაუფლების მანიაკალურმა სიყვარულმა ისე დაგიბნელათ გონება, რომ ველარ ხედავთ ღმერთის, ერისა და ქვეყნის წინაშე ჩადენილ უდიდეს დანაშაულს, ნუთუ, ნუთუ...

სად არს შენი ძმა, კაენ?

*ნუგზარ მოლოდინაშვილი*

მარიამობისთვის 26, 1996 წელი

# სასამართლო მარათონი ფინიშს უახლოვდება

## ვის რისი შანსი აქვს?

გაზეთის არდადეგების პერიოდში პოლიტიკური სასამართლო პროცესი გრძელდებოდა, რომლის ყველა საყურადღებო მოვლენა - შიმშილობები, პროტესტები, მხარეთა შეხლა-შემოხლა ოპერატიულად გააშუქა პრესამ. ჩვენ მათ არ დავუბრუნდებით, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ პროცესის მსვლელობაში გარდატეხა არ მომხდარა. განსასჯელები კვლავ თვლიან თავს კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებად, ხოლო მოსამართლე ა. ალადაშვილი კი - არა. თუმცა, ერთ-ერთ სხდომაზე ზვიად ძიძიგურმა მას შეახსენა, რომ ისინი ორივე (თავად ძიძიგური, როგორც აღმასრულებელი, ხოლო ალადაშვილი, როგორც სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელი) ერთი და იმავე კონსტიტუციის საფუძველზე არიან არჩეულნი.

მოსამართლე შეუდგა საქმის მასალების გამოქვეყნებას, პარალელურად გრძელდება მოწმეთა დაკითხვა. მათში წარმოდგენილია დღევანდელი საქართველოს მოქალაქეთა მთელი სპექტრი: ყოფილი მებრძოლები, მძღოლები, პოლიციის რიგითი თანამშრომლები, დისპეტჩერები, სამეურნეო მუშაკები, გლეხები. ისინი უმეტესად ქართველთა ცნობილ 87 პროცენტს მიეკუთვნებიან. მათ მოსამართლე უყვირის, ემუქრება და აგდებით ელაპარაკება. ზოგჯერ გამოჩნდებიან გაზულუქებული გენერლები, პროკურორები და პოლიციის უფროსები, რომელთა ჩვენებებში სასამართლო ვერავითარ წინააღმდეგობებს ვერ ამჩნევს. კოლეგიის თავმჯდომარე მათ აშკარა სიმპათიით ეკიდება და ცდილობს, არ მისცეს განსასჯელებს "საპატიო" მოწმეთა დაკითხვის საშუალება.

სასამართლო პროცესზე კვლავ ვერ მოხერხდა ლოთი ქობალიას მიერ 6 პირის, მათ შორის ჟურნალისტ დავით ბოლქვაძის დახვრეტის ფაქტის უშუალო თვითმხილველი ჯანმრთელი (თვალხილული და მეტყველი) მოწმის მოყვანა. თუმცა, ამ დეტალს ოდენ ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს - როგორც უზენაესი სასამართლოს მუშაობის პრაქტიკა გვიჩვენებს, ეს შეიძლება არ აისახოს მოახლოებულ განაჩენზე ისევე, როგორც ბადრი ზარანდიას საქმის შემთხვევაში არავის ჩაუგდია ყურადღების ღირსად ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი მთავარი ბრალდება სასამართლოზე ვერ დამტკიცდა.

იქნებ ჩვენ ვცდებით და ეს ასე არ არის, იქნებ ალადაშვილი მაინც განსხვავდება დოლიძისა და ლეონიძისგან? იგი ხომ ხშირად იმეორებდა: მე რას ვფიქრობ - ბოლოს ვიტყვიო. იქნებ მისი ქცევა თვალის ასახვევი ფანდია და განაჩენში ობიექტურად აისახება სასამართლო ძიების შედეგები?

ჩვენ მუდამ მივუთითებდით; რომ მიმდინარე სასამართლო პროცესები წინასწარ დაწერილი სცენარით ტარდება, მაგრამ ქართველების უმრავლესობას მაინც აქვს იმედი, რომ ერთ დღეს მოხდება გარდატეხა ამ დრამატურგიაში და ბოლო მოეღება უზენაეს სასამართლოში საჯაროდ მიმდინარე ტრაგიკულ რეპრესიებს ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ.

თუ დღეს თუნდაც ერთი მოსამართლე განაჩენში იტყვის, რომ 1993 წლის შეიარაღებული დაპირისპირება იყო 1992 წლის სამხედრო გადატრიალების დასრული, რომელსაც უზარმაზარი მსხვერპლი მოჰყვა, რომ განსასჯელთა სკამებზე სამხედრო ტყვეები და პოლიტპატიმრები სხედან, რომ ეს არ არის სისხლის სამართლის საქმე, რომ იმ პერიოდში საქართველოში იყო სამოქალაქო ომი, ქაოსი და ამიტომ ეს საქმე უნდა განიხილოს კონსტიტუციურმა სასამართლომ, კონკრეტულ განსასჯელთა მიმართ კი შეწყვიტოს საქმის წარმოებას, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მოსამართლე ეროვნულ გმირად იქცევა და მთელს უზენაეს სასამართლოს მოსწმენდს ნამუსს.

დღეს ერთ მოსამართლეს შეუძლია გამოიყვანოს უზენაესი სასამართლო მონური მდგომარეობიდან და დაამსგავსოს იგი ხელისუფლების ორგანოს. ამისთვის საკმარისია ერთი კონკრეტული სამართლიანი ვერდიქტი, რომელიც გადაწონის სასამართლო ხელისუფლების მკვდრადშობილ რეფორმას და მის ირგვლივ გამართულ თვითკმაყოფილ მსჯელობას. ამით უზენაესი სასამართლო უარს იტყვის სუკ-ის "ტროიკების" სამარცხვინო მემკვიდრეობაზე და მოამზადებს ნიადაგს ჭეშმარიტი ეროვნული შერიგებისთვის.

ეს შესაძლებლობა ხელიდან გაუშვეს მოსამართლეებმა - მ. დოლიძემ, ი. ტყეშელაშვილმა, ლ. საყვარელიძემ, ჯ. ლეონიძემ. ახლა ეს შანსი აქვთ ა. ალადაშვილს, ლ. ბოჭორიშვილს, ჯ. ცისკარიშვილს. დღეს მოქმედ ყველა სხვა ინსტიტუტისგან განსხვავებით, ისინი ერთადერთი კანონიერად არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლები არიან 2001 წლამდე; და თუ სძლევენ შიშს, გამოიყენებენ თავიანთ უფლებას - დაიმსახურებენ არამარტო ხალხის სიყვარულს, არამედ ქართული სასამართლოს ისტორიაში შევლენ როგორც ტოტალიტარული რეჟიმის რეალური რეფორმატორები.

*ს. გურამიშვილი*

# დაუმარცხებელი იდეა და დამარცხებული რეალობა

დღევანდელ ვითარებაში საზოგადოებრივ განწყობილებებს თანაბრად განაპირობებს, ერთი მხრივ, ფუჭი ოპტიმიზმი, რომელიც არავითარ რეალურ ქმედებას არ გულისხმობს და, მეორე მხრივ, დამთრგუნველი, ნიჰილიზმთან ნაზავი პესიმიზმი, რომელიც იმთავითვე გამორიცხავს ნებისმიერ ქმედებას. მაგრამ არის მესამეც - ქმედების დანაშაულებრივად შერაცხვის სინდრომი, რომელიც ხშირად თანაბრად იპყრობს დაპირისპირებულ ძალებს. და იქმნება პარადოქსული ვითარება, როდესაც ქმედება ბოროტების საწინააღმდეგოდ საფუძველშივე განწირულია გასაკიცხავად ორივე მხარის მიერ.

რატომ? პასუხი არაერთგვაროვანია ყველა კონკრეტულ შემთხვევაში: ან მოქმედი პირნი არ იწვევენ ნდობას, ხოლო ნდობას დღეს უკვე აღარავინ იწვევს, რამეთუ ყველას ჰყავს შეურიგებელ ოპონენტთა მყარი წრე; ან, მავანთა თქმით, ქმედებას არა აქვს აზრი, რამეთუ ისედაც არაფერი გამოვა ისევე, როგორც ადრე არ გამოვიდა; ან ეს ქმედება თავადაა საეჭვო, იქნებ სულაც აწყობდეს საძულველ ხელისუფლებას, ხოლო ის, რომ ხელისუფლებას თითქმის ყველაფერი აწყობს - ეს აზრი ლამის საკრალურ ჭეშმარიტებადაა ქცეული ათასობით ადამიანის ცნობიერებაში; ან კიდევ ერთი, უკვე ანეკდოტური პოსტულატი - ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის, ცნობილი სცენარიდან - "ეპიტაშვილი მოდის". მოდის, მოდის და მოვიდა... დაბოლოს მისტიკური ხილვები, სიზმრები, სულების გამოცხადება, რაზეც უჩვეულო აღტყინებით მიგვანიშნებენ ხოლმე ყველაზე ორთოდოქსულად განწყობილი მორალისტები. მოდი და ნუ დაიჯერებ!

იქმნება შეკრული წრე, რომლიდანაც გამოსავალს ჩვენ თვითონვე არ ვიტოვებთ და რომც გამოჩნდეს გამოსავალი, იგივე სინდრომები ათმაგი სიმძაფრითა და დამაჯერებლობით ამუშავდება.

ყველაზე საგულისხმო კი ისაა, რომ ეს ყველაფერი უკვე გავლილი გაკვეთილების გამეორებას ჰგავს, ერთი განსხვავებით - სულ ახლახან, რამდენიმე წლის წინ ჩვენ ვძლიეთ ეს ფსიქოლოგიური მუხრუჭები და გავაკეთეთ არჩევანი. ვძლიეთ, როდესაც გონიერი მშობლები გვიკიჟინებდნენ ტელე თუ რადიო ეთერიდან - "ადექით, შვილებო, ნუ სხედხართ ცივ ქვაზე, გაცივდებითო"; სამაგიეროდ, იგივე მშობლებმა ერთმანეთის საკლავად გაუშვეს თავიანთი შვილების თაობა. ვძლიეთ შიშსაც, როდესაც ცეკვითა და სიმღერით ვუხვდებოდით მტრის აღმატებულ, დაჯავშნულ ძალებს. ვძლიეთ მაცდუნებელ პროპაგანდასაც, რომ თანაბრად დამნაშავეა მომხდური მკვლელი და მის წინააღმდეგ უდრეკად მებრძოლი მამულიშვილი. იმ მზაკვარ აზრსაც ვძლიეთ, რომ სიკეთე ბოროტების ხელშეწყობით, მასთან ალიანსში იმარჯვებს ხოლმე, აბა ისე რას გახდებოდა.....ასე რომ, ეს ყველაფერი იყო და დღესაც არის.

დღეს აქვე, ჩეჩნეთში იგივე სინდრომები მეტი სიმტკიცით, თავგანწირვით სძლიეს ჩვენმა მოძმეებმა და დაუმტკიცეს მთელ მსოფლიოს, რომ არ არსებობს მამულისთვის თავგანწირულ ბრძოლაზე უძლეველი ძალა. მტერმა ყველა გზა მოსინჯა, ყველა ხრიკი იხმარა: როცა ვერ გატეხა წინააღმდეგობა ძალით, მიმართა ფსიქოლოგიურ ტერორს, ლიბერალ-ინტელექტუალთა ენით მოჰყვა იმის მტკიცებას, რომ თავისუფლებისთვის მებრძოლი ჩეჩენიც რუსის დაკვეთას ასრულებს, აბა ისე რას გახდებოდა. ფსევდოდემოკრატებმა მარტივ ფორმულაში მოათავსეს ეს იდეა - რა საჭირო იყო ომის დაწყება ჩეჩნეთში, როცა შეიძლებოდა კრემლის დაპირისპირებულ კლანებს თავიანთ კაბინეტებში მუშტი-კრივით გაერკვიათ ურთიერთობები.

იგივე ფორმულას ახვევდნენ თავს საქართველოს 9 აპრილსაც, 28 ოქტომბრის არჩევნების წინაც, პუტჩის დროსაც და შემდეგაც. ამ მარტივი სქემის მილმა, როგორც წესი, იჩქმალება ნამდვილი მტერი და მტრობის ნამდვილი მიზეზი, უფასურდება ყველა ფასეულობა - სამშობლო, თავისუფლება, გმირობა; ზეობს უშწიფრობა, შიში, ფსევდოინტელექტუალური ფილოსოფია და ინერგება სინდრომი, რომელიც გარდუვალს ხდის დამარცხებას.

ჩეჩნეთმა დაამტკიცა ისიც, რომ დამოუკიდებლობისთვის თავგანწირულ მებრძოლს ვერც დიპლომატიური ხრიკებით შეაცდენენ; რომ შეიძლება აწარმოო მოლაპარაკებები მტერთან და იყო უდრეკი, განაგრძო ბრძოლა და გაიმარჯვო, ანუ ყველა ფრონტზე იბრძოლო მთავარი მიზნისთვის. ამ უბრალო ჭეშმარიტების საპირისპიროდ, როგორც წესი, მოქმედებას იწყებს, ერთი მხრივ, რაციონალიზმით შენიღბული მოღალატეობა და, მეორე მხრივ, ფსევდორადიკალური სინდრომი და ორივე კვლავ რეალური ქმედების წინააღმდეგაა მიმართული.

ასეთი მაგალითიც ახსოვს ჩვენს ახლო წარსულს: კონგრესისტული რადიკალიზმის ფორმულით - "ძირს კოლაბორაციონისტი ლანდსბერგისი და გამსახურდია", "უარი დამოუკიდებლობის ლიტვურ გზას" - რომელიც სულ რაღაც ერთ წელიწადში იოლად გარდაიქმნა აგრესიულ, შეიარაღებულ კოლაბორაციონიზმად და საქართველოს სახელმწიფოს დაქცევის მძლავრ ბერკეტად იქცა. ამგვარი დამბლოკავი მექანიზმების შესაქმნელად საფუძველი დღესაც იქმნება საქართველოში, მეტიც - მექანიზმი უკვე მოქმედებს, თუმცკი, თავად რეალობიდან გამომდინარე, არაინტენსიურად.

**საზოგადოება იმართება ძალით, მაგრამ სხვადასხვა დროსა და ვითარებებში ეს ძალა შეიძლება იყოს მოქალაქეობრივი შეგნება ან ტოტალური უპასუხისმგებლობა, თავგანწირვა ან სილაჩრე, ერთგულება ან ღალატი, სიყვარული ან სიძულვილი, ძალადობა ან, უბრალოდ, სოციალური სინდრომები, ილუზიები, ინფორმაციულ-დეზინფორმაციული კამპანიები, რომელთა ტყვეობა ხშირად ბორკილებზე მტკიცეა**

რა მართავს დღეს საქართველოს? ცხადია, არა კეთილი, აღმშენებლობითი საწყისები; მაგრამ უკვე აღარც თავად ძალადობა, არამედ ძალადობისშემდგომი სინდრომი - მტრულ ძალასთან დაპირისპირების უაზრობის შეგრძნება, უსასოობა და ამ უსასოობის წიაღში ახალი, დამაჯერებელი მოტივების გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი ძიება; მართავს ილუზიები, რომელთა ილუზორულობა თვითონაც კარგად უწყიან ამ სენით შეპყრობილებმაც და მაინც ვერ ელევიან, რამეთუ სიცხადე აზრისა უცილობლად აკისრებს ადამიანს პასუხისმგებლობას, რომელიც აღარავისთვისაა სასურველი.

ჩვენც, დაუმარცხებელი იდეით შეპყრობილნი, ნებსით თუ უნებლიეთ, ვიმართებით დამარცხებული რეალობის მიერ, რომელსაც, ჩვენთან ერთად თუ უჩვენოდ, ვერაფერი გადაარჩენს დაუმარცხებელი იდეის გარდა. მაგრამ, ასევე ჩვენთან ერთად თუ უჩვენოდ, ეს რეალობა ასწრებს მოსპოს ის, რისი წიაღიდანაც იშვება მარადიული იდეა სამშობლოს სიყვარულისა და თავისუფლების.

სისტემა, გამარჯვების შემთხვევაშიც კი, თავს იზღვევს და მუდმივად განამტკიცებს თავის ჰეგემონიას. მიზანი ყოველთვის ერთია - არ იქნეს დაშვებული ქმედება, რომელსაც, შესაძლოა, მოჰყვეს რაიმე, თუგინდ მცირე პოზიტიური შედეგი. ეს პრინციპია. და თუ შედეგი მაინც მიიღწევა, იმ კონკრეტულ მაგალითზე, როგორც წყლის წვეთში, არაჩვეულებრივი სიცხადით ვლინდება სისტემის მოქმედების ყველა ჰიკეტიც და მისი რღვევის მთელი მექანიზმიც. ამიტომ ის, ვინც უარს ამბობს პატარა ომებზე იმ მიზეზით, რომ ეს არ ეკადრება მის ძვირადღირებულ პერსონას, ვერასოდეს ჩაერთვება დიდ ბრძოლაში, არათუ მოიგებს მას.

ბრძოლა თავისუფლებისთვის იმ მტრის წინააღმდეგ, რომელიც შენს ორგანიზმს ეუფლება და წამლავს, ნაწილ-ნაწილ აგირავებს - მუდმივი აუცილებელი მდგომარეობაა, რომლიდანაც შეუძლებელია გამოსვლა. ბრძოლის შეწყვეტა სიკვდილია, გახრწნა, რომელსაც ვერაფერი შეაჩერებს.

ბრძოლა სიცოცხლეა და ამიტომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი.

*ანა ჭავჭავაძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკანონობის პარადოქსები

**რეჟიმი განაგრძობს თვითდამკვიდრებას... მიმდინარეობს პოლიციური სახელმწიფო სისტემის შელამაზება საკანონმდებლო მაკიაჟით, მაგრამ უკანონობის პირმშო ბუნებრივად ექცევა სამართლებრივ ჩიხში და რაც უფრო მეტად ცდილობს კანონიერების ფასადის შექმნას, მით უფრო პარადოქსულად ვლინდება მისი უკანონობა...**

## რატომ არ შეიძლება ხელისუფლების დამხობა?!

როდესაც უზენაესი საბჭოს შენობის სვეტებს პირველი საარტილერიო ჭურვი შეენარცხა, პუტჩისტთა სახელოვანი იურისკონსულტები უკვე ამუშავებდნენ სამხედრო გადატრიალების სამართლებრივ თეორიას: კომუნისტების დროინდელი იუსტიციის მინისტრის, ვიქტორ შარაშენიძის პირველივე იურიდიული კომენტარი ეყრდნობოდა ვითომდა არსებულ საერთაშორისო ნორმას, რომლის მიხედვითაც - თუკი ხელისუფლება არღვევს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, ნებადართულია მისი ძალისმიერი დამხობა. საგულისხმოა, რომ ამ ტელეკომენტარმა გაიჟღერა 1992-ის 3 იანვარს, სწორედ იმ დღეს, როდესაც პუტჩისტთა კრიმინალურმა რაზმებმა თბილისში, დიდუბის მეტროსთან მოაწყვეს მშვიდობიანი მანიფესტანტების დახვრეტა.

ხელისუფლების დამხობა რომ ნებადართული იყო, თანაც სწორედ საერთაშორისო დონეზე, ეს ისედაც თვალნათლივ ჩანდა; მაგრამ ამგვარი სამართლებრივი ნორმა რომ არ არსებობს, ამას თავად გვიდასტურებს ძალადობით დამკვიდრებული რეჟიმი. დღე არ გავა, არ თქვას თავისი რუპორების პირით - როგორიც არ უნდა ვიყო, ჩემი დამხობა არ შეიძლება, ჩემი ძალისმიერი ხელყოფა კრიმინალური დანაშაულია, საერთაშორისო ტერორიზმის აქტია, "პროვინციული ფაშიზმია"-ო. ვითომ რატომ?! განა თვითონ როგორ მოვიდა - "არაძალადობით" და ცისფერი დროშების ფრიალით?

## ვინ არღვევს კანონს და ვინ იცავს მას

ამგვარი პარადოქსია ისიც, რომ 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულ უზენაეს საბჭოს (სწორედ უზენაეს საბჭოს, კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების გამო, და არა მის ცალკეულ წევრებს) ასამართლებს ამ უზენაესი საბჭოს მიერ არჩეული უზენაესი სასამართლო. საგულისხმოა, რომ სასამართლოს კოლეგიამ დღემდე ვერ გასცა პასუხი დეპუტატების - ზვიად ძიძიგურისა და ნუგზარ მოლოდინაშვილის მიერ ჯერ კიდევ თებერვლის დასაწყისში, სასამართლო პროცესზე დასმულ შეკითხვას - რომელი კანონის საფუძველზე სამართლდებიან ისინი. კითხვა ლოგიკურია, ვინაიდან იმავე კონსტიტუციის მიხედვით, რომლითაც 10 წლის ვადით იქნა არჩეული უზენაესი სასამართლოს შემადგენლობა, დეპუტატის პასუხისგებაში მიცემაც კი არ შეიძლება უზენაესი საბჭოს თანხმობის გარეშე. აღსანიშნავია, რომ ამ კითხვაზე კოლეგიამ არათუ კვალიფიციური და დამაჯერებელი, არამედ არაკვალიფიციური პასუხიც კი ვერ გასცა. მან, უბრალოდ, დუმილი ამჯობინა და წააგო ეს პოლემიკა.

ასე მოექცა რეჟიმის ბრმა მსახურების შედეგად სამართლებრივ ჩიხში ხელისუფლების მესამე შტო.

უკვე აგვისტოს ბოლოს, კობა ძიძიგურმა, ვაჟა წერეთელმა, გიორგი ყორბესაშვილმა და ზაზა დანელიამ, მათი საქმის სასამართლო განხილვის დაწყებისთანავე, აცილება მისცეს არა მხოლოდ პროკურორსა და მოსამართლეს, არამედ მთლიანად პროკურატურასა და უზენაეს სასამართლოს, როგორც უკანონო ძალადური რეჟიმის სამსახურში მყოფ დანაშაულებრივ ორგანიზაციებს. სხვათა შორის, მათი მოტივები განმტკიცებული იყო თავად პროკურატურის მესვეურთა გამონათქვამებით. მოსამართლე გაოცდა - აბა ვინ უნდა გაგასამართლოთო. "არავინ, უნდა გაგვათავისუფლოთ." - სავსებით ლოგიკურად მიუგეს განსასჯელებმა, რომელთა განსჯის უფლებამოსილება არსებული სასამართლოს მიერ სერიოზული ეჭვის ქვეშ დგას და ამ ეჭვებს სამართლებრივი არგუმენტაციით ვერ ფანტავს ვერც ერთი კომპეტენტური ორგანო. ნიშანდობლივი იყო მოსამართლის არაოფიციალური პასუხი - "მე თქვენი მესმის, მაგრამ ეს რომ გავაკეთო, გიჟად გამომაცხადებენ".

## პროკურატურული ლაოკოონი

ამავე დროს თვით რეჟიმის სისხლიანი სამზარეულო - პროკურატურა, ა. ბალუაშვილის სახით, აღიარებს, რომ 1992 წლის 11 ოქტომბრის "იმედის არჩევნებამდე", თურმე, დამხობილი ხელისუფლება კანონიერი ყოფილა (ეჭვგარეშეა, რომ ეს ზღვარი ნელ-ნელა მოგვიახლოვდება და 5 ნოემბრის საკრალურ თარიღსაც გადმოახტება, მაგრამ ამაზე მერე). თუ ასეა, ბუნებრივად ჩნდება კითხვა - მაშ რატომ არ აღძრა სისხლის სამართლის საქმე პროკურატურამ იმ პირების მიმართ, ვინც დაამხო კანონიერი ხელისუფლება; ან თუნდაც ვინც 1992 წლის 4 იანვარს აღძრა საქმე საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და შემდგომ მისი მომხრეების მიმართ; ვინც წამებით გამოსძალა ჩვენებები მათ, ვისაც 11 ოქტომბრამდე ჩადენილ თუ არჩადენილ ქმედებებში ედებოდათ ბრალი? ან ახლა მაინც რატომ არ აკეთებს ამას? რატომ არიან დღესაც ციხეებში ეს ადამიანები? რომელი კანონის საფუძველზე აქვს ორ მათგანს გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი?

გენერალური პროკურორის ერთი მოადგილის ეს მოსწრებული აზრი კიდევ უფრო განავითარა მეორე მოადგილემ, რ. ყიფიანმა და ასევე საჯაროდ აღიარა, რომ კანონზე ზედამხედველ უწყებას, რიგით მოქალაქეებთან ერთად, ეშინოდა "მხედრიონის" და, ფაქტობრივად, მისი მოახლე ბრძანდებოდა (სამწუხაროდ, არ უთქვამს, ვისი მოახლე იყო თავად "მხედრიონი", მაგრამ ამაზეც მერე...) დაგვეთანხმებით, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სამართალდამცველი უწყება თავად აღიარებს, რომ კანონს არღვევდა კრიმინალების შიშითა და მათი მითითებით.

ამგვარ სამართლებრივ კოლიზიაში გახლართული პროკურატურა, ცხადია, თუ ასევე თანამიმდევრულად შეეცდება დაიცვას კანონის უზენაესობა, ვგონებთ, იძულებული გახდეს საკუთარი თავის მიმართ აღძრას სისხლის სამართლის საქმე, ან გამოაცხადოს თვითლიკვიდაცია.

## რატომ შეიძლება დაარღვიოს კანონი მოსამართლემ...

...და, როგორც გამოირკვა, თავადვე აღიაროს, რომ არღვევს კანონს. ნუგზარ მოლოდინაშვილის შიმშილობის ერთ თვეზე მეტი ხნის მანძილზე უზენაესი სასამართლოსა და პროკურატურის მთელ ვერტიკალზე გაისმოდა ერთი და იგივე მტკიცება - რომ მისი მოთხოვნები უკანონოა, რომ ამგვარ პრეცედენტს ადგილი არ ჰქონია. გია ჭანტურიას პატიმრობაში ყოფნისას 1991 წელს პრესკონფერენციის ჩატარების ფაქტს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ასეთი კომენტარი გაუკეთა - "მაშინ ყველაფერი ხდებოდაო". უნდა ვიგულისხმოთ, რომ მაშინ უკანონობა იყო, ხოლო ახლა, კანონის ზეობის ჟამს, ამგვარ დარღვევას არავინ დაუშვებსო.

და ამ მტკიცებათა პარალელურად, ამავე ერთი თვის მანძილზე სასამართლო ხელისუფლებამ ოთხჯერ დაარღვია კანონი - რიგრიგობით დაუშვა მოლოდინაშვილთან ჯერ ეუთო-ს, შემდეგ ამერიკის საელჩოს, შემდეგ გერმანიის საელჩოს წარმომადგენლები. დაბოლოს, როგორც იქნა, ჟურნალისტი და IGFM-ის წევრიც.

მაშასადამე, მოსამართლემ შეიძლება დაარღვიოს კანონი თუნდაც ჰუმანური მოსაზრებით, მაშ რატომ არ შეიძლება დაარღვიოს იგი სხვა მოსაზრებითაც და გამოიტანოს არასამართლიანი განაჩენი? - ამგვარად დასვა საკითხი მოლოდინაშვილმა თავის განცხადებაში უკვე მას შემდეგ, რაც მიაღწია თავისი მოთხოვნების შესრულებას და თან ხაზი გაუსვა, რომ თვითონ არსად უთქვამს - ჩემი მოთხოვნები უკანონოაო, ამას სწორედ პროკურატურისა და უზენაესი სასამართლოს მესვეურები გაიძახოდნენ.

ამდენად, რეჟიმის ყველა რგოლი, თითქმის ყველა შემთხვევაში, როდესაც მას თანამიმდევრულად უპირისპირდება სამართლებრივი პრინციპი, ბუნებრივად ექცევა სამართლებრივ ჩიხში და იძულებული ხდება თავადვე უარყოს მის მიერ დეკლარირებული ნორმები.

* * *

რეჟიმი განაგრძობს თვითდამკვიდრებას, ფლობას იმისა, რაც არ ეკუთვნის და ეს მისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვიდრე ნებისმიერი კოლიზია, რომელშიც შეიძლება იქნეს მხილებული. ამ რეალობის შეცვლა თითქოს არც არაფერს ძალუძს... და მაინც, პოლიციური სისტემა დაჟინებით ცდილობს, შეიქმნას კანონიერი ფასადი, ლიბერალური იმიჯი; ცდილობს, ფორმალურად მაინც, გამოჩნდეს სამართლიანი. რაში სჭირდება ეს, როცა ისედაც გარანტირებული აქვს არსებობა თითქმის ყველა ცდომილების შემთხვევაში?! საერთოდ, რატომ ცდილობს ბოროტება, ადრე თუ გვიან, მოირგოს სიკეთის ნიღაბი?!

ესეც ერთ-ერთი პარადოქსია...

*ირაკლი დგებუაძე*

# პოლიტიკური ანგარიშსწორება გრძელდება

**კობა ძიძიგური - დაბადებული 1966 წელს, განათლება - უმაღლესი, ჰიდროტექნიკოსი.**

**ვაჟა წერეთელი - დაბადებული 1957 წელს, განათლება -უმაღლესი, სატრანსპორტო ინჟინერი, ცოლშვილიანი.**

**ზაზა დანელია - დაბადებული 1963 წელს, განათლება - უმაღლესი, კავშირგაბმულობის ინჟინერი.**

**გიორგი ყორბესაშვილი - დაბადებული 1964 წელს, განათლება - უმაღლესი, ფილოლოგი.**

## დაიწყო ახალი სასამართლო პროცესი...

27 აგვისტოს უზენაესი სასამართლოს შენობაში მოსამართლე ლენგერ ბოჭორიშვილის თავმჯდომარეობით (მსაჯულები მ.ღორთლდიშვილი და ზ. მხეიძე) კიდევ ერთი პოლიტიკური პროცესი გაიხსნა. განსასჯელთა სკამზე ამჯერად არიან: კობა ძიძიგური, ვაჟა წერეთელი, ზაზა დანელია და გიორგი ყორბესაშვილი, რომელთაც, სხვა "ზვიადისტ"-პოლიტპატიმრების მსგავსად, ბრალი ედებათ სამშობლოს ღალატში (სსკ 65-ე მუხლი), ბანდიტიზმსა (სსკ 78-ე მუხლი) და დივერსიის მცდელობაში (სსკ 17-69). პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებლად გამოდის რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწე - ნაირა გიგიტაშვილი, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ შევხვდით პოლიტპატიმარ რამაზ ვანიშვილის სასამართლო პროცესზე.

პიროვნებათა დადგენის შემდეგ, პოლიტპატიმართა დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლო კოლეგიამ დააკმაყოფილა მათი შუამდგომლობები სახაზინო ადვოკატების აცილების შესახებ და დაამტკიცა საზოგადოებრივი დამცველები: ნინო რატიშვილი - კობა ძიძიგურის ინტერესების დამცველად, როსტომ კუტალია - ზაზა დანელიას დამცველად (მის ინტერესებს იცავს, აგრეთვე, ადვოკატი ლევან გორხელაშვილი) და ანა ჭავჭავაძე - გიორგი ყორბესაშვილის დამცველად. ვაჟა წერეთლის საზოგადოებრივ დამცველად მისი მეუღლის, მარინე ძიძიგურის წარდგინება სასამართლომ არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ იგი დაკითხულია მოწმის სახით.

შემდეგ განსასჯელებმა დააყენეს შუამდგომლობა პროკურატურის, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძრის შესახებ სსკ-ის შემდეგი მუხლებით: სამშობლოს ღალატი (მ. 65), სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (მ. 186), ხელისუფლების და სამსახურებრივი მოვალეობის გადამეტება ( მ. 187), დაუდევრობა (მ. 188), სამსახურებრივი სიყალბე (მ. 191), წინასწარი შეცნობით უდანაშაულო პირის მიცემა ს/ს პასუხისგებაში (მ. 192), ჩვენების იძულებით გამოძალვა (მ. 195), დანაშაულის დაფარვა (მ.205), დანაშაულის განუცხადებლობა (მ. 206), თვითნებობა (მ. 220), ხულიგნობა (მ. 228). "ამ მუხლების საფუძველზე, მოვითხოვთ ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციის აცილებას ბრალმდებლის ფუნქციიდან, რადგანაც პროკურატურა არის ჩვენს მიმართ მტრულად განწყობილი ხელისუფლების მარიონეტი ორგანიზაცია და სწორედ ამ ორგანიზაციის მეშვეობით აწარმოებს ფაქტობრივი ხელისუფლება პოლიტიკურ ანგარიშსწორებას" - განაცხადეს პოლიტპატიმრებმა.

ამ შუამდგომლობამ გარკვეულწილად დააბნია მოსამართლე და მან საგულისხმო კომენტარი გააკეთა: "ჩვენ ვერ ვამბობთ, რომ პროკურატურა დამნაშავეა იმიტომ, რომ გადაწყვეტილება არა გვაქვს, რომ პროკურატურა არის დანაშაულებრივი ორგანიზაცია...(?!) რომ ვთქვა, პროკურატურა დამნაშავეა-თქო, გიჟად შემრაცხავენ და იმ წუთშივე გამომაცხადებენ "მაცნეში". პროკურორი დაეთანხმა მოსამართლეს და საბოლოოდ სასამართლო კოლეგიამ არ დააკმაყოფილა განსასჯელთა ეს შუამდგომლობა.

პოლიტპატიმრებმა დააყენეს შუამდგომლობა უზენაესი სასამართლოს სრული შემადგენლობით აცილების შესახებ იგივე მოტივით.

მოსამართლე უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა: "რა გავაკეთოთ ახლა? ეს შუამდგომლობები არ ჯდება პროცესში, მოდით ჩავსვათ რამენაირად...თუ მთლიანად აცილებას აძლევთ უზენაეს სასამართლოს, ვინ გაგასამართლებთ? ...სასამართლო არ ერევა პოლიტიკაში..."

ვაჟა წერეთელმა შეკამათება სცადა:" როგორ ბრძანებთ, რომ სასამართლო პოლიტიკაში არ ერევა, ეს პროცესი ხომ "ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა" საქმის შემადგენელი ნაწილია. ეს კი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ორგანო, რომელიც კანონიერებას უნდა იცავდეს, თავად არღვევს კანონს და ხელს უწყობს ფაქტობრივი ხელისუფლების ანგარიშსწორებას".

გიორგი ყორბესაშვილმა დაამატა "თქვენ უკვე დაარღვიეთ კანონი, როდესაც ეს საქმე ამდენი დარღვევებით წარმოებაში მიიღეთ".

ამ რეპლიკამ ბოჭორიშვილის აღშფოთება გამოიწვია:" მე არ მიმიღია ეს საქმე წარმოებაში, ისაევმა მიიღო, მე დამაწერეს"(?!)

ამ პასუხმა დააეჭვა განსასჯელები - საერთოდ გაეცნო კი მოსამართლე მათი ბრალდების საქმეს?

კობა ძიძიგურის განცხადებამ იმის შესახებ, რომ უზენაესი სასამართლოს წევრები არღვევენ ადამიანის ელემენტარულ უფლებებს, წყობიდან გამოიყვანა კოლეგიის თავმჯდომარე:" კარგით რა, ერთი რეზოლუციაც არა გაქვთ წაკითხული და ლაპარაკობთ..."

როგორც მოსალოდნელი იყო, სასამართლო კოლეგიამ არ დააკმაყოფილა პოლიტპატიმართა შუამდგომლობა.

ამის შემდეგ განსასჯელებმა და მათი ინტერესების დამცველებმა მოითხოვეს გარკვეული დრო საქმის გასაცნობად. მოსამართლე ბოჭორიშვილმა დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა, მაგრამ კატეგორიული უარი განაცხადა იმაზე, რომ პოლიტპატიმრები და მათი დამცველები ერთად გასცნობოდნენ საქმის მასალებს. როდესაც ერთ-ერთმა დამცველმა სცადა შეკამათება მოსამართლესთან და შეახსენა მას, რომ ე.წ. "გელბახიანი-დოკვაძის" პროცესის დროს საქმეს ერთად ეცნობოდნენ ადვოკატები და განსასჯელები, მოსამართლემ აღნიშნა:" იმ პრაქტიკამ არ გაამართლაო".

სხდომა გადაიდო გაურკვეველი ვადით.

*ნინო ჩეჩელაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

# ზვიად გამსახურდია

**დისიდენტი - პრეზიდენტი - მოწამე**

(წიგნი იბეჭდება მცირე შემოკლებით და ავტორისეული დამატებებით)




თავი მეთერთმეტე

## მრგვალი მაგიდა - კავკასიური სახლი

(გაგრძელება)

კავკასიური “მრგვალი მაგიდის“ დაფუძნების ინიციატორთა სურვილი იყო კავკასიის რეგიონის ხსნა მოსალოდნელი საფრთხისგან. ასევე “მშვიდობის მოსურნე“ იარაღის მომწოდებელთა საქმიანობის აღკვეთა. მეურნეობის განვითარების შემაფერხებელი ძმათამკვლელი ომები უნდა შეჩერებულიყო. კავკასიაში ეკოლოგიურ მდგომარეობას სერიოზული საფრთხე შეუქმნა აქ მიმდინარე საომარმა მოქმედებებმა. ამერიკაში ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით, კავკასიაში ამჟამად ერთ სულ მოსახლეზე გაცილებით მეტი იარაღია, ვიდრე მსოფლიოს სხვა რომელიმე კუთხეში. სადმე სხვაგანაც რომ ასე კარგად შეიარაღებული რეგიონები არსებობდეს, მსოფლიო მასშტაბის სერიოზული საშიშროება გარდუვალი იქნებოდა. ყველაზე ცნობილია “დონის კაზაკთა გაერთიანების“ საჯარისო ნაწილები, რომლებიც თავს “რუსეთის საზღვრების დამცველებად“ წარმოადგენენ. არსებობს აგრეთვე ეგრეთ წოდებული “კავკასიელ ხალხთა კონფედერაცია“, რომელიც საკმაოდ მძლავრი სამხედრო შენაერთია. კონფედერაციის მებრძოლთა მიზანია სახელმწიფოს შექმნა, რომლის დედაქალაქიც სოხუმი იქნება.

“მრგვალი მაგიდა - კავკასიური სახლი“ მოწოდებულია, ამ რთულ სიტუაციაში ხელი შეუწყოს რეგიონში წონასწორობის დაცვას. ამას ემსახურება ჩრდილო კავკასიელთა და ქართველთა დაახლოებაც.

სამეურნეო თვალსაზრისით ამ რეგიონს შესანიშნავი ადგილ-მდებარეობა აქვს. იქმნება ერთგვარი სარკინიგზო წრე სოჭიდან ბათუმის, თბილისის, ერევნის, ბაქოს, მახაჩკალას და გროზნოს გავლით და უკან სოჭამდე სტავროპოლის გავლით. ამ მხარეში მოიპოვება რკინა, სპილენძი, ოქრო, ქვანახშირი, ნავთობი, ბუნებრივი გაზი. თავად საქართველო საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ მდიდარ ქვეყნად ითვლებოდა. აქაური ხალხი განათლებული და შრომისმოყვარეა. საქართველოს კეთილდღეობა, მისი განვითარება რუსეთისთვისაც სასიკეთო იქნებოდა. სახელმწიფოთა მსგავსი კავშირი განაახლებდა კულტურული და სამეურნეო ცხოვრების აღმავლობის ხანაში არსებულ ურთიერთობებს.

“კავკასიური სახლის“ რეალური განხორციელებისთვის დიდი შრომაა გაწეული. ჩვენთვის მხოლოდ ამ მოღვაწეობის მცირედი ნაწილია ცნობილი. 1993 წელს დუდაევმა მიმართა აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტებს მთიან ყარაბახში საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ. მან წარადგინა თავისი მოსაზრებები, რასაც ინტერესით გაეცნენ, მაგრამ არავინ შეიწუხა თავი, ხალხისთვისაც მიეწოდებინა ინფორმაცია. ასევე უიღბლო აღმოჩნდა კავკასიური “მრგვალი მაგიდის“ ინიციატორთა მცდელობა, მშვიდობიანი გზით მოგვარებულიყო საქართველოსთვის მეტად მტკივნეული აფხაზეთის პრობლემა. 1993 წლის აპრილ-მაისში მოლაპარაკებების შედეგად ომი უნდა შეწყვეტილიყო. დუდაევმა ორივე მხარეს შესთავაზა კავკასიის ნეიტრალური ჯარის ნაწილების ჩართვა ომში, რომელთა მიზანი სროლის შეწყვეტა და მშვიდობის დამყარება იქნებოდა. თითქოს მისაღები წინადადება იყო, მაგრამ საქართველოს მთავრობის საჯარისო შენაერთებმა კვლავ გააგრძელეს გუდაუთის დაბომბვა. ბრძოლის ქარცეცხლი განახლდა და ომის შეწყვეტის ეს უკანასკნელი იმედიც გადაიწურა. “მრგვალი მაგიდა - კავკასიური სახლისთვის“ ეს მოსალოდნელი დარტყმა იყო, თუმცა, მისი იმპულსი ამით არ შენელებულა. “მრგვალი მაგიდის“ ხორცშემსხმელნი და მომხრეები დღესაც ერთგულნი რჩებიან იმ პრინციპებისა, რომლითაც დაფუძნების დროს ხელმძღვანელობდნენ. ისინი კვლავ აგრძელებენ ბრძოლას პანთურქული, პანისლამური და დიდი რუსეთის ძალაუფლებრივი მისწრაფებების წინააღმდეგ, რომელთა მეცადინეობით კავკასიაში არასტაბილური მდგომარეობა სუფევს. როგორც ჩანს, კავკასიაში ამგვარი ვითარება ამერიკული, შორეული აღმოსავლეთის და ევრო-აზიურ სახელმწიფოთა ბლოკების ინტერესებშიც შედის. მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა კავკასიელ ხალხთა თავისუფალი კავშირის შექმნა, რომელსაც საკმაოდ დადებითი როლის შესრულება შეეძლო. მიუხედავად ყველა წინააღმდეგობისა, უმთავრესი მაინც აღსრულდა - ზვიად გამსახურდიასა და ჯოხარ დუდაევის მეგობრობა პარადიგმული ხატი იქნება მომავალი კავკასიისთვის.

1994 წლის ბოლოს, დუდაევის დამხობის ინსცენირების ჩაშლის შემდეგ, ბორის ელცინი შეეცადა ჩეჩნეთის პრობლემის სამხედრო ძალით გადაჭრას. მან თავისი საომარი მანქანა ჩეჩნეთის დამორჩილებისკენ მიმართა. დასავლეთის პოლიტიკური ხელმძღვანელები ზუსტად ისე იქცევიან, როგორც ბუშმა და გორბაჩოვმა მოილაპარაკეს ფარული შეთანხმებისას - მიუხედავად სიტყვიერი პროტესტისა, “ქვეყნის შიდა საქმეებში“ არ ერევიან.

თავი მეთორმეტე

## დაბრუნება

1992 წლის გაზაფხულზე მოხალისეთა დიდი ტალღა შეუერთდა სამეგრელოში მცხოვრებ ოფიცრებს. “სამხედრო ნაწილები კანონიერებისთვის“ - ასე დაირქვეს დევნილი კანონიერი მთავრობის ჯარისკაცებმა. და მიუხედავად იმისა, რომ ეს სამხედრო შენაერთები სამეგრელოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ნდობითა და კეთილგანწყობით სარგებლობდნენ, არსებული რეჟიმის მიერ ისინი უკანონო სამხედრო ფორმირებებად იქნენ შერაცხულნი და აქტიური ქმედებისგან თავი უნდა შეეკავებინათ.

ზვიად გამსახურდია სამეგრელოში ძალიან უყვარდათ. მისი დამხობის შემდეგ მოძალადე ხელისუფლებამ დიდხანს ვერ მოახერხა ეს რეგიონი თავისი უკანონო მმართველობისთვის დაექვემდებარებინა. იარაღის ძალით მოსული ხელისუფლება ხალხის უმეტესობის მიერ, უბრალოდ, იგნორირებული იყო. საყოველთაო ბოიკოტის წყალობით, 1992 წლის ოქტომბერში შევარდნაძის მიერ დადგმული საარჩევნო ფარსი აქ საერთოდ ვერ განხორციელდა. აქ ჩამოყალიბდა სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კომიტეტი, რის გამოც “სახელმწიფოს მეთაურმა“ ოთხი დამსჯელი ოპერაცია მოაწყო ურჩ რეგიონში (ჯაბა იოსელიანის “მხედრიონმა“ გადაწვა მრავალი სოფელი და დახოცა უამრავი ადამიანი).

ამ ძალადობისგან თავდასაცავად შექმნილი “სამხედრო ნაწილები კანონიერებისთვის“ დროთა განმავლობაში 7000 კაცამდე გაიზარდა. ისინი შეიარაღდნენ მძიმე არტილერიით, რაც რუსებისგან იყიდეს ან ყოფილი საბჭოთა სამხედრო ბაზებიდან წამოიღეს.

როცა შევარდნაძემ აფხაზეთში ომის პროვოცირება მოაწყო, კანონიერმა გვარდიამ ჩაურევლობა ამჯობინა და მოითხოვა აფხაზეთის კონფლიქტი მოლაპარაკების გზით გადაწყვეტილიყო. მაგრამ აფხაზეთში ტრაგიკული სიტუაცია შეიქმნა. აფხაზებმა გამოიყენეს რუსეთის მხარდაჭერით განპირობებული სამხედრო უპირატესობა და მკვიდრი, ძირძველი მოსახლე ქართველები საკუთარი სამშობლოდან განდევნეს. როცა პირველი ლტოლვილები სამეგრელოში შევიდნენ, იქ მყოფმა კანონიერმა გვარდიამ უარი თქვა ჩაურევლობის პოლიტიკაზე და მოძმეთა დახმარება გადაწყვიტა.

სოხუმის დაცემამდე რამდენიმე დღით ადრე ზვიად გამსახურდია ჩეჩნური ემიგრაციიდან ზუგდიდში დაბრუნდა. ის დაბრუნდა (როგორც თავად განმარტა) “საქართველოს გადასარჩენად, ხალხისთვის მშვიდობის დასაბრუნებლად, სამოქალაქო ომის შესაწყვეტად და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე კანონიერების აღსადგენად“.

ცნობა პრეზიდენტის მოულოდნელი დაბრუნების შესახებ ელვის სისწრაფით გავრცელდა. მისი გამოსვლის მოსასმენად მცირე დროში ზუგდიდის ცენტრალურ მოედანზე დაახლოებით 60 000 ადამიანი შეიკრიბა.

გამსახურდიამ შევარდნაძის რეჟიმს მოუწოდა, არ შეეშალა ხელი კანონიერი გვარდიის მოქმედებებისთვის აფხაზეთის რეგიონში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართველებს სამარცხვინო დამარცხება ელოდათ. მაგრამ გამსახურდიას ჩამოსვლის შემდეგ მოვლენები ფორსირებულად განვითარდა. აფხაზებმა რუსული ჯარების დახმარებით მძლავრი შეტევა განახორციელეს სოხუმზე. ვერც ადგილობრივმა დამცველებმა და ვერც შეტევაზე გადასულმა “კანონიერმა გვარდიამ“ ვერ შეძლეს ამ პროცესის შეჩერება.

პარალელურად კანონიერი გვარდიის ნაწილები “მხედრიონის“ მიერ დატოვებულ ქალაქებში შედიოდნენ. მოსახლეობა მათ ყველგან სიხარულით ხვდებოდა. ოქტომბრის დასაწყისში ისინი ქუთაისის მისადგომებს მიუახლოვდნენ.

პრეზიდენტმა გამსახურდიამ მოწინააღმდეგეებს ეროვნული შერიგება შესთავაზა. მან წამოაყენა წინადადება, ჩატარებულიყო საყოველთაო თავისუფალი არჩევნები. შევარდნაძემ საკმაოდ სწრაფი რეაგირება მოახდინა. მან სამხედრო თანადგომა სთხოვა რუსებს, რომელთაც მანამდე მწვავედ აკრიტიკებდა აფხაზეთის ომში მონაწილეობისთვის. შევარდნაძემ საქართველოს დამოუკიდებლობა საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებაზე გაცვალა. რუსული დახმარების სანაცვლოდ, საქართველო დსთ-ში აღმოჩნდა გაწევრიანებული.

ამას ისიც დაემატა, რომ ამერიკის პრეზიდენტმა ქლინტონმა სთხოვა “მოსკოვს“, მისი საუკეთესო მეგობარი შევარდნაძე ბედის ანაბარა არ მიეტოვებინა. ფოთში ტანკებით და საზღვაო-სამხედრო სნაიპერებით სავსე რუსეთის საომარი გემები ჩამოდგა. სოფლები და ქალაქები დაიბომბა.

მსოფლიოს პოლიტიკოსები და ჟურნალისტები, რაღა თქმა უნდა, შევარდნაძის დიდი მეგობრებიც, ამ ფაქტთან დაკავშირებით ხმას არ იღებდნენ. დაუჯერებელია, მაგრამ მათ კვლავ დაუჭირეს მხარი პოლიტიკოსს, რომელმაც საკუთარ ხალხთან საბრძოლველად უცხო ჯარები მოიწვია - ქართული ანდაზის თანახმად, “დუმილი თანხმობის ნიშანია“.

შევარდნაძის ძალადური პოლიტიკის საყოველთაო მხარდაჭერის ფონზე, გამსახურდიას გვარდიელების მიერ წინააღმდეგობის გაწევა სრული უაზრობა იყო. ისინი თითქმის უბრძოლველად ტოვებდნენ ქალაქებს, სადაც მათ ცოტა ხნის წინ ასეთი სიხარულით ეგებებოდნენ.

სამეგრელოში კი პრეზიდენტი მოთმინებით ელოდა მოწამებრივი ცხოვრების აღსასრულს.

გერმანულიდან თარგმნა

**თამარ იაშვილმა**

(გაგრძელება იქნება)

---

# TAVISUPALI SAKARTVELO

(FREE GEORGIA)

**No 30 (in brief)**

**3 - 9 September 1996**

## The Paradoxes of the Unlawfulness

Present day Georgia is in the process of attaching the fine weathers of legislative documents to the police state system though this offspring of the unlawfulness inevitably comes to the juridical dead end and the greater are the efforts to build a front of lawfulness the more paradoxically is manifested its unlawfulness...

When the building of the Supreme Council was shuttering from the artillery bombardments the lawyers of the putschists were working out the legal theory of the armed military overthrow: the very first comment of the Minister of Justice of the Soviet period Mr. Sharashenidze was based on the ostensible existing international norm according to which the lawful authorities could be forcibly overthrown provided they abuse human rights. It is noteworthy that this comment was transmitted by TV on January 3, 1992, i.e. exactly on a day when the criminal detachments of the putschists shot down the peaceful demonstration in Tbilisi near the "Didube" underground station.

And today the regime which came in power through the coup claims that it is impossible to overthrow the authorities, that such actions should be qualified as criminal, the act of international terrorism, "provincial fascism". The question is why ?! To such paradoxes belongs the fact that the members of the Supreme Council elected on October 28, 1990 are tried by the Supreme Court which has been elected by that very Supreme Council. It is noteworthy that the Court Board so far failed to answer the question of the deputies Mr. Zviad Dzidziguri and Mr. Nugzar Molodinashvili which they asked in February during the trial: basing on which Law they were being tried. The question is logical since according to the Constitutions following which the composition of the Supreme Court had been approved, the charges against the deputy could be brought only with the consent of the Supreme Council. Thus the third branch of power found itself in the dead end as a result of blind servicing the existing regime. By the end of August Mr. Koba Dzidziguri, Mr. Vazha Tsereteli, Mr. Giorgi Korbesashvili and Mr. Zaza Danelia immediately after the beginning of Court Hearing of their case rejected not only the Prosecutor and Judge but the whole Prosecutor's Office and Supreme Court as criminal organizations servicing the unlawful forcible regime. Of interest was an informal answer of the judge who said: "I understand your claim, but if I satisfy it I will be declared insane".

At the same time the first deputy of the Prosecutor General Mr. Anzor Baluashvili admitted that before October 11, 1992, that is before the "elections of hope" were conducted, the overthrown authorities happened to be legal. If so, then it is only natural to ask why the Prosecutor's Office did not bring charges against those persons who had overthrown the lawful authorities; or against those who had brought charges on January, 1992 against the first President of Georgia and lately against his supporters; or against those who had forcibly by means of inhuman torturing induced those who were charged with actions had or had not committed before October 11, 1992? Why these people are still being kept in jails? Basing on which Law two of them were sentenced to death?

This statement of Baluashvili was expanded the second deputy Mr. Revaz Kipiani who publicly had admitted that the Prosecutor's Office like other citizens was afraid of "Mkhedrioni" and actually it was in service of this organization, though unfortunately Mr. Kipiani forgot to mention at whose service was "Mkhedrioni" itself... It is undoubtedly the first precedent when the legal body admits that it is violating the Law for fear of the criminals and following their orders. The Prosecutor's Office involved in such juridical collision actually declares itself out of Law.

It turns out that the judge can violate the Law and then admit that he is doing so. During the more than one month hunger-strike of Nugzar Molodinashvili the officials throughout the whole vertical of the Supreme Court and Prosecutor's Office would repeat one and the same argument claiming that Mr. Molodinashvili's demand to arrange his meeting with the representatives of the international organizations and press was unlawful, that there was no such precedent in the Court practice. On the fact that Mr. Gia Chanturia held a press-conference while he was imprisoned in 1991 the Chairman of the Supreme Court provided the following comment: "In that time everything was possible". Which invites the suggestion that in those time unlawfulness was flourishing while now when the Law won victory such violations are absolutely impossible.

And in parallel with these statements, exactly during this one month the Court authorities judging by their logic have violated the Law four times when they allowed in succession Mr. Molodinashvili's meeting first with OSCE, then with the representatives of the US Embassy, then with representative of the German Embassy and finally with the journalist and member of IGFM.

Hence, if the judge can violate the Law even for the reasons of humanity why is not it possible for him to violate it for other reasons and pronounce unjust verdict? It was exactly how Mr. Molodinashvili formulated his question in his statement after he had achieved the fulfillment of his demands though he stressed that he himself had never admitted that his demands were unlawful.

Thus all links of the regime nearly in all cases when they are opposed by the legal principle naturally find themselves in the juridical dead end and are induced to reject the norms previously declared by themselves.

*Irakli Dgebuadze*

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, სააბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia

გაზეთი რეგისტრირებულიადიდუბის რაიონისსასამართლოს მიერ. რეგისტრაციის ნომერია 2/4-851
იბეჭდება ს/ ს კეგელში